საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№33 (6527) 20 აგვისტო ხუთშაბათი 1992 წელი

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიაში

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების შესაბამისად ჩატარდა ცაგერის № 45 ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გელა ხვადაგიანი.**

სხდომამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია **გივი ხეცურიანი,** მდივნად—**ლეილა მეშველიანი.**

## სანამ სწავლა დაიწყება...

**სულ ცოტა ხანიც და მიიწურება საზაფხულო არდადეგები, პირველ სექტემბერს ახობით მოსწავლე მიუჯდება სასწავლო მერხებს. ჯერ კი პედაგოგ-აღმზრდელები ახალი სასწავლო წლის მოლოდინში არიან. საბოლოო სახეს იღებს მომავალი სასწავლო წლისათვის განწყუთვნილი სასწავლო გეგმები, პედაგოგები ეცნობიან რესპუბლიკის განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებს. თუ როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს რაიონი, ჩვენი გაზეთის მკითხველებს ესაუბრება განათლების განყოფილების გამგე გურამ ხმელიძე.**

ისტორიული გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა და, საერთოდ, სახალხო განათლების მთელი სისტემა, ისევე თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რეალობების უშუალო პროდუქტს წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენს გაძარცვულ-გაპარტახებულ ეკონომიკას ნაოცნებარი სკოლის შექმნა-შენახვა არ ძალუძს. ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხის გადაწყვეტა მწვავე პრობლემების გვერდის ავლით უშედეგოა. ეს ყოველივე აისახება რაიონის განათლების სისტემაში. მიწისძვრის სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სამი წლით შეჩერებულია ცაგერის სკოლის მშენებლობა, რაც გამოწვეულია სამშენებლო მასალების უქონლობით. გაურკვეველი დროით გადაიდო წლეულს დასრულება ლაილაშისა და ტვიშის საშუალო სკოლების მშენებლობის საქმე. საერთოდ, სასწავლო დაწესებულებების დიდი უმრავლესობა შეუფერებელ შენობებშია. საშიშია მეცადინეობის ჩატარებაც კი, ასეთი მდგომარეობის ფონზე კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ წელს არცერთი მანეთი არა გვაქვს გამოყოფილი კაპიტალური შეკეთებისათვის, სასკოლო ინვენტარის შეძენისათვის. ასეთ პირობებში სკოლის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ დასჯერებოდნენ საკუთარი ძალებით შესრულებულ მცირე სამუშაოებს, რაც სასკოლო ინვენტარის შეკეთებაში გამოიხატა. სამშენებლო მასალის დეფიციტის მიუხედავად ბევრმა სკოლამ შეძლო კაბინეტ-ლაბორატორიების წესრიგში მოყვანა და გალამაზება, ასე რომ, საპირველსექტემბროდ მოსწავლეებს ექნებათ მოწყობილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე კაბინეტ-ლაბორატორიებში მეცადინეობის საშუალება.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საინსტრუქციო წერილის მიხედვით სკოლის ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ სასკოლო სახელმძღვანელოების განაწილებისა და რეალიზაციის საქმეს. დღეისათვის გამოცემულია მხოლოდ თერთმეტი სახელმძღვანელო. ამიტომაც უნდა გამოვიყენოთ მოქმედი სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდები.

ამჟამად პედაგოგები განიხილავენ საქართველოს რესპუბლიკის განათლების კონცეფციის პროექტს. კონცეფციის გამოქვეყნება თავისთავად დიდებითი მოვლენაა, მისი პროგრესული მიმართულების მაჩვენებელია განათლების მართვის დეცენტრალიზებული სისტემის დაშვება, ავტორიტარული პედაგოგიკისა და უნიფიცირებული სწავლების სისტემის უარყოფა.

რაიონის პედაგოგიურ სისტემაში დღეისათვის მუშაობს 610 მასწავლებელი და 100-ზე მეტი აღმზრდელი, რომელთაგან 457 უმაღლესი განათლებითაა, 74 უმაღლეს დაუმთავრებელია, 107 საშუალო სპეციალური განათლების მქონეა, 12 აღმზრდელი მასწავლებელი ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდებას, ატესტაციის შედეგად 20 პედაგოგს მიენიჭა უმაღლესი კატეგორია, ხოლო 103 პირველი კატეგორიის მფლობელია. მათ გვერდით პედაგოგის წოდებას და ვალს ღირსეულად ატარებენ ახალგაზრდა მასწავლებლებიც, რომელთა რიგები ყოველწლიურად ივსება მაღალი ინტელექტის, ცოდნის მქონე პედაგოგებით. ახალი სასწავლო წლიდან რაიონის სკოლებში მუშაობას შეუდგება შვიდი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

დადგა დრო, პედაგოგმა ინდივიდუალურად შემოქმედებითი მიდგომით, ზემოდან დაშვებული მითითებების გარეშე დაძლიოს განათლების სისტემაში არსებული არაერთი პრობლემა. ამის უნარი და შესაძლებლობა კი მაღალზნეობრივ დისციპლინირებულ პედაგოგებს აქვთ, მათ მაღალ ავტორიტეტს, რომლის შექმნაში არცთუ მცირე წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას, მის მხარდაჭერას.

## პრივატიზაციის ზღურბლზე

## ნუ ვექნებით სხვის ხელშია შემყურე

დღეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის ერთ-ერთ ძირითად, საარსებო დარგში — სოფლის მეურნეობაში კრიზისია, რომელიც ყოველმხრივ ღრმავდება, მძაფრდება და დღითიდღე სოციალური დაძაბულობის არნახულ ნიშან-თვისებებს იღებს. იგი ცალკეულ დარგებში სხვადასხვანაირად ვლინდება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის სოფლის მეურნეობის დაქვეითების მიზეზი რესპუბლიკასა თუ რაიონში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკის საერთო კრიზისი, დარგის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმების გაუფასურებაა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ფინანსების განიავებაა, მეცხოველეობის საფუძვლების ხელყოფაა, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის მოშლაა.

ახლა რაიონში ოფიციალურ შეკრებებზე თუ კერძო საუბარში ხშირად გაიგონებ, რომ წელს რაიონში წინა წლებთან შედარებით 93 ჰექტარით მეტი დაითესა სიმინდი, 20-25 ჰექტარით მეტი ბოსტნეული და სხვა, მაგრამ საქმეს არსს თუ ჩავხედავთ, ყოველივე ეს მოხდა სტიქიურად. მოსახლეობა, მიწის საკუთრებაში გადაცემა მიმდინარეობსთ და თვითნებურად დაეუფლა მიწებს როგორც სოფლად, ისე სოფლის გარეთ და დაამუშავა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ეს კარგ მუშაობას მიაწერეს.

დასასრული მეორე გვერდზე

## კვლავ მოუირჭმეულ თემაზე

ქალაქის სანიტარულ მდგომარეობაზე არაერთხელ სამართლიანად დაწერილა ჩვენს გაზეთში, თითქოს უკვე მომაბეზრებლად ერთი და იგივეს წრა გვიხდება, წყაყარე კედლის ცერცვი—აი, შედეგი. ქალაქში არსებული ყველა წარმოება-დაწესებულება და მოქალაქე უნდა თვლიდნენ მოვალედ თავს, რომ ქალაქში სანიმუშო თუ არა, ელემენტარული სისუფთავე და წესრიგი იყოს. აღარ ვლაპარაკობთ კომუნალურ მომსახურებაზე, რომლის პირდაპირ დანიშნულებას წარმოადგენს ქალაქის მოვლა-მოწესრიგება. თუნდაც ერთხელ დაკვირვებულად გავიაროთ ქალაქის ისეთ ცენტრალურ ადგილებში, სადაც ყოველდღე თ ვს იყრიან აქაურები თუ ჩამოსული მოსახლეობა და ამაში დავრწმუნდებით: კოსტავას ქუჩაზე (ქალაქის ცენტრალური ქუჩა) საბავშვო ბაღის წინ უხვადაა ნაგვის გროვა, იქვე, ცოტა მოშორებით, ყრია სამშენებლო მასალა ზედ ტროტუარზე და ხელს უშლის მოსიარულეებს, დაბინძურებულია ნამომველის და თამარ მეფის ქუჩის მონაკვეთები.

ბაზრის წინ, ორმოცბინიანი სახლის ეზო დანაგვიანებული და დაჭაობებულია, ბოლოს და ბოლოს გავშვებია ცოდო, სათამაშოდ მოსახერხებელი ადგილი რომ ასე უპატრონო და მოუვლელია.

ქალაქის ცენტრში, რომ იტყვიან, საფიცრად, ერთი გასაცოდავებული ბაღი გვაქვს, ყველასგან უპატრონოდ მიტოვებული, ამ ბოლო დროს დასასვენებელმა სკამებმა ოდნავ გაალამაზა იქაურობა, მცხუნვარე მზისგან თავდასაცავად ახლა ბაღში ბლომად ნახავთ ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც, არ იქნა და ბაღის მოწესრიგება არ მოხდა, ჩამოცვენილი ფოთლებით, თუთუნის კოლოფებით, ქაღალდის ნაგლეჯებითაა მოფანტული იქაურობა. საშინელი ანტისანიტარიაა ბაღის შესასვლელთან, კაფე-ბარის უკან, აქ სანაგვე ურნა აუღიათ და ნაგავი მთელს ბაღშია გაფანტული ლორებისაგან, აქვე დავსძენთ, რომ ამ ბოლო დროს ქალაქში უპატრონოდ გაშვებული პირუტყვი მომრავლდა, საით გაიხედავ, გინდ ბაღში, გინდ გაზონებზე, ზოგჯერ კი შუაგულ მოედანზეც ლორები, ძროხები, ქათმებია... ბოლოს და ბოლოს რაღაც ღონისძიება უნდა იქნას გატარებული მათი პატრონების წინააღმდეგ, თორემ საშველი არაა. გამოუყენებელი სამშენებლო მასალების გროვაა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეკლესიის ეზოს შესასვლელთან.

აღარც საყვედურები მოსწყინდათ და აღარც გროვა ნაგვის ყურება ქვედა ცაგერის საკრებულოს, რაიკოოპერატივის, განათლების განყოფილების, სოცუზრუნველყოფის და სხვა ორგანიზაციების მომსახურე პერსონალს, ერთიც და მეორეც მათი საქმეა, მაგრამ როდემდე? ეზო სავსეა ქილების ნამსხვრევებით და ათასგვარი ნარჩენებით, რაშიც ქალაქში თავისუფლად მოსეირნე პირუტყვი იქექება. ამავე ეზოში ნებართვით იყო თუ უნებართვოდ, მოქალაქეებმა მოჭრეს ალვის ხეები. მასალა წაიღეს, ნარჩენებისაგან ეზოს გასუფთავებაზე კი თავი არ შეიწუხეს.

ეს რაც ერთი თვალის გადავლებით შევნიშნეთ, ისე კი სხვა ადგილებშიც მრავლადაა ნაგვის ბუდეები. ამჯერად აღარ გავიმეორებთ ათასგვარ შეგონებებს, რომ ზაფხულია და შეიძლება ანტისანიტარიას არასასახარბიელო შედეგები მოჰყვეს ისევ მისი დამბინძურებლებისათვის, ეს ყველა თქვენთაგანმა უკვე კარგად უწყით, უბრალოდ ეცით პატივი სილამაზეს და სისუფთავეს, დავვერწმუნეთ, ერთიც და მეორეც ისევ თქვენს თვალს და გულს გაახარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

საპირისპირო კი მოხდა ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორიცაა მევენახეობა, მეხილეობა. სოფლად უკონტროლობის შედეგად განადგურდა ვენახები. ბევრმა აჭრა ვაზი, რადგან ვილაცამ ხმა გაავრცელა, ვაზს პრივატიზაციის დროს მაღალი გადასახადი და გამოსასყიდი ექნებაო და სიმინდი დათესა. ვაზისადმი უყურადღებობის ნიმუშად მარტო უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ცხაკურის უსახელოურის ჯიშის ვაზის ვენახების განადგურება გამოდგება. ვენახით, რომლის გაშენებაზედაც სახელმწიფომ მილიონები დახარჯა, ყველა ვტრაბახობდით, მალე „უსახელოურის" სამარკო ღვინო გვექნებაო და უპატრონობით პირუტყვს შევაჭამეთ. სორმალურ ადამიანს გული გეტკინება, ზვარში შეშვებულ პირუტყვს რომ დაინახავ. გაზეთმა დროულად ატეხა განგაში, მაგრამ რა, ოყურეშისა და ზუბის საკრებულოთა გამგებლებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა არც კი იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე და პასუხიც არ გამოგზავნეს რედაქციაში გატარებულ ღონისძიებებზე, თუმცა რაც არაფერი გაკეთებულა, არც არავის მოუთხოვია მათთვის პასუხი, რას გამოგზავნიდნენ.

ანალოგიური მდგომარეობაა მეხილეობაში. ბაღების ერთი ნაწილი პირუტყვმა გადახრა,

# ნუ ვიქნებით სხვის ხელში შემყურე

რაც ზოგიერთ მეწაკვეთეს კიდევაც აძლევს ხელს. ამჟამად მასიურად იკრიფება ტყემალი ჯერ კიდევ საზოგადოებრივ ბაღებში, მაგრამ იგი არ ბარდება სახელმწიფო ორგანიზაციებს. არადა სასაქონლო რესურსების რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი პროდუქციის მოცულობაში რაიონიდან გათვალისწინებულია 6500 ტონა ხილი. ყოველივე ამის შედეგია, რომ დღეისათვის არც ერთი ტონა ხილი არ არის დამზადებული, არც იგრძნობა სოფლად რომელიმე დამამზადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მუშაობა, რომ ფორმდებოდეს ხელშეკრულება ან სხვა ურთიერთხელსაყრელი დოკუმენტი მიმღებსა და ჩამბარებელს შორის.

ორ წელზე მეტია რაიონში დაიწყო სოფლის მეურნეობის, მისი მმართველობითი რგოლების რეორგანიზაცია, მაგრამ, საუბედუროდ, მხოლოდ დავშალეთ კოლმეურნეობები თუ საბჭოთა მეურნეობა, ავტორიტეტი დავუკარგეთ მათ ხელმძღვანელ ორგანოებს თუ ხელმძღვანელებს, სხვა რაიმე წინგადადგმული ნაბიჯი არ ჩანს. სოფლის მოსახლეობა თვითნებურად დაეპატრონა სახნავ-სათესს, ბაღს, ვენახს, სათიბს. ზოგიერთ კომლს ორი თუ სამი ნორმა მიწის ფართობი აქვს, ზოგი კი მთლად უმიწოდ დარჩა. თუ ამ ტემპით გაგრძელდა მიწის პრივატიზაციაზე მუშაობა, ალბათ მას ორი-სამი წელი მაინც დასჭირდება და არასწორადაც განაწილდება.

სანამ საკოლმეურნეო ქონების პრივატიზაცია არ გატარებულა, ყველა რგოლმა, მათ შორის საიჯარო ურთიერთობებმაც თავიანთი ფუნქცია უნდა შეასრულონ. დღეს კი არც მოიჯარე და არც მეიჯარე თავის ვალდებულებას არ ასრულებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მეცხოველეობაში. სულ კოლმეურნეობებიდან ინდივიდუალურ მოიჯარეებზე გაცემულია 368 ძროხა, ხოლო 84 ძროხა გაცემულია ბრიგადული იჯარის ფორმით, მაგრამ მიმდინარე წლის 7 თვეში ერთი კილოგრამი რძე ან ხორცი არ მიუყიდიათ სახელმწიფოსათვის. ამის გამოა, რომ საბავშვო ბაღები და საავადმყოფოები მოუმარაგებელი რჩება მეცხოველეობის პროდუქტებით. ყველა მოიჯარე გაყვანილ პირუტყვს უკვე საკუთრებად თვლის. არადა კოლმეურნეობის იმ ყოფილმა წევრებმა რა დაიშავეს, რომლებსაც არცერთი სული პირუტყვი არ გაუყვანიათ იჯარით, მიწის ფართობიც ვერ მიიღეს. საკოლმეურნეო ქონება ხომ ყველას საერთო შრომით შეიქმნა. რაიონულმა საკრებულომ თვენახევრის წინ დაავალა კოლმეურნეობების და სასოფლო საკრებულოების ხელმძღვანელებს გადაეხედათ დადებული საიჯარო ხელშეკრულებებისათვის და თუ არ ექნებოდათ განაღდებული ვალდებულებები, გაეუქმებინათ ისგი და მოეხდინათ ქონების პრივატიზაცია, მაგრამ, საწუხაროდ დღემდე არავის შეუწუხებია [illegible] [illegible] ეთივეა [illegible] თავი მოსახლეობამ და მეიმლება ითქვას არაფერს ზოგავს, საზოგადოებრივი ქონებიდან თითქმის ყველაფერი სახლებში მიაქვთ. ვერ ვიტყვით ვერც ერთი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაზე, რომ იგი მეტ-ნაკლებად გაძარცვული არ იყოს.

მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სამართლიანად მოითხოვენ დროულად მისცენ ნებართვა კოლმეურნეობათა სრული ლიკვიდაციისა და ქონების პრივატიზაციისა, მაგრამ რატომღაც ზემდგომი ორგანოები კვლავ აჭიანურებენ და მაშინ გამოიტანენ გადაწყვეტილებებს ალბათ, საპრივატიზაციო რომ აღარაფერი დარჩება.

დრო არის ზემდგომმა თუ ადგილობრივმა ორგანოებმა იზრუნონ სოფლის მეურნეობის — კერძო მეურნეობა იქნება, თუ ჯგუფური —განვითარებისათვის, რადგან ყველა კარგად ვხედავთ, როგორ უჭირს რესპუბლიკას კვების პროდუქტებით — პურით, ხორცით, რძით, ყველით, კვერცხით—მშრომელთა მომარაგება... და ნუ ვიქნებით სხვის ხელებში შემყურე.

**ნ. ნემსაძე.**

# ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

**ნანა აკობიძეს „ლეჩხუმის" მკითხველთან წარდგენა არ ჭირდება. იგი ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. მის ლექსებსა თუ პროზაულ ქმნილებებს ბევრი ალუფრთოვანებია. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული პოეტი გოგონა თავის სათუთ სულს პოეტურ სტრიქონებში გვიშლის და საკუთარი თავის რწმენით აღჭურვილი ადვილად იღებს ცხოვრების გამოწვევას:**

მე ხომ არ მკითხეს ამ ქვეყნად მოსვლა,
ალბათ წასვლასაც არავინ მკითხავს,
და თუ მოვედი, ჩემს ნატერფალებს
მძაფრად დავაჩნევ აყვლო მიწას.



**წლეულს ნანამ საშუალო სკოლა დაამთავრა, და იგი უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გახდა. ვულოცავთ კიდევ ერთ წარმატებას და ვუსურვებთ ჩვენს მომავალ კოლეგას გამარჯვებებით ევლოს ცხოვრების ძნელ გზაზე.**

## შენ საუკუნემ უახლესმა ვერ დაგიფარა

მახურის სამების ეკლესია— კაცთა და დროთა სიავისაგან უმოწყალოდ განძარცვული... დანანება და სინდისის ქეჯნა შეგიპყრობს აქ მოსულს. ამ დანანების გრძნობამ მოხაზა ეს ეტიუდი.

...შენ დგახარ ახლა თალჩამოშლილი, გაუსაძლისი ტკივილისგან გიფეთქავს მკერდი. ღიად დარჩენილ ბაგეებს შორის საცოდავად იცქირება გამშრალი სახე—მომხედეთო, თუ გვევედრები...

დროთა ნატვიფრით დახუნძლული შენი სხეული. გშანთავს ტკივილი და იობის მოთმენით ითვლი დარჩენილ წუთებს... წუთებს? არა, განა წუთებს, შენ საუკუნეებს სწვდები. მზერით იდუმალით, შეუცნობელით.

ხვამლის მთიდან სიოცრად ლიმილით ამოდის მზე, პირველად შენ მოგძებნის მთრთოლვარე სხივ, შეგეხება, ბალზამივით წილდ დაბზარულ კედლებში. მერე ჯილასავით დაგადგება თავზე მნათობი, და შენ ხარ ქვათ.

...ეზოში მდგომი მზის სხივებს იტაცებ და ღამით ავრცელებ მოტაცებულ სხივებს.

ღამით კი რჩები მოტაცებული სხივების ამარა, საერთოდ, შენ ხომ მარტოდმარტო ხვდები ყოველ განთიადს. დგახარ და ფიქრობ, თუ რაოდენ ერთსახიერია მოდგმა კაცისა. მერე მოფრინავენ ბრმა ღამურები და გეშლება ფიქრის გორგალი.

შენ თავზე მეტად შეგყვარებია შენს ნანგრევებში შეხიზნული უმწეო ფრთოსნები. თვითონაც თვალდაშრეტილი, მათ ამოლამებულ თვალებში კითხულობ უსასტიკეს ხვედრს არსებისას.

რამდენიმე ყანგმოდებული ხატი ასვენია საკურთხეველში. იქვე ყრია შემოწირული ხურდა ფულისა. ფარღალალა ტალანში ორმხრივი ქარი დათარეშობს და ეხლება კედლებს ბნელხმიანს, შაბი და ჭინჭარი. მოსდებია ობოლ საფლავებს.

სივდა ერეობს ჩამოშლილ თაღქვეშ. სამრეკლოზე დგას ბევრი მნათი დაკლდაკოერილი, ხმელი ხელით ეწევა საბელს..

რეკს ღედოზარი, კვნესის, ქლრიალებს და მოურჩენელ ტკივილს ავანებს ასწლოვან ცაცხვისქვეშ.

შენ დუმხარ ეკლესიავ სამებისაო და მინავლული მზერით ეფერები, ელაციცები სამთა სახებას.

სასაფლაოზე ბინდი ეცემა.

შენ აყურადებ სასაფლაოს მაჯისცემას და დგახარ ვითარცა ბურჯი წარსულისა და მომავლის გზაგასაყართან.

შენ საუკუნემ უახლესმა ვერ დაგიფარა, და მაინც კაცთა მოდგმისაკენ იცქირები იმედის თვალით „თქვენ მომხედეთო, ჯვარი მაღირსეთო, დაბზარულ კედლებს მიეშველეთო"—გვემუდარები.

შენ დგახარ ახლა თალჩამოშლილი, დაბზარული და მივიწყებული ღვთისაგან და კაცისაგან.

...არ გვაპატიო ეს გულგრილობა, რამეთუ ცოდვილნი არა ვართ ღირსნი მიტევებისა.

**ნანა აკობიძე.**

# სიტყვა საქმიანი

*

## წვრილმანი როდია

აღარ ვწუწუნებთ გაუსაძლის ყოფაზე, რომლითაც სავსეა ჩვენი ყოველდღიურობა. მაგრამ არც ისე ვარგა, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიოთ და ბუსავით თვალები ნაადრევად დავითხაროთ.

ცოცხლები ვართ, ელემენტარულად საარსებო გარემო და პირობები გვჭირდება. ახლა ზაფხულია, აგვისტომ ივლისზე მეტად გვაგრძნობინა ძალა და მცხუნვარება, ბევრი სტუმარია ქალაქსა და რაიონში, ბევრი გამვლელ-გამომვლელი. ამ დროს მთელს ქალაქში არ არის ერთი ნორმალური საზოგადოებრივი სარგებლობის ტუალეტიც კი. სპეციალურად დავინტერესდით, შემოვიარეთ ქალაქი, შემოვლაც რად გვინდა, აქ ვმუშაობთ, მთელ დღეს ვატარებთ და ვიცით.

ვისაც ნორმალური ტუალეტი აქვს (კავშირგაბმულობის რაიონული კვანძი და სხვები) იმათაც უჭირთ მოვლა სოლიდური კომუნალური გადასახადის გამო. გადამხდელები თვითონ არიან მხოლოდ, სარგებლობით კი ბევრი სარგებლობს.

და გაგვიჩნდა იდეა: ასეა ყველგან, ნებისმიერ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ერთი ფასიანი ტუალეტი იქნებ გახსნას ჩვენს ქალაქში? თორემ ამ პაპანაქებაში ისეთი სიბინძურეა, რომ ეპიდემია გარდაუვალია.

ყველაფერზე ხელის აქნევა და უგულებელყოფა მართლაც არ შეიძლება.

<u>**სარედაქციო ფოსტიდან**</u>

# მადლობა

## გზის მშენებლებს

თავისუფლების (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩის მცხოვრებლებს მოსვენება გვქონდა დაკარგული ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გზის გამო. ჩვეულებრივს-თქო იმიტომ ვამბობთ, რომ ქუჩები კეთილმოწყობის მხრივ გაპრილი ვაშლებივით გვანან ერთმანეთს. ჰოდა, ჩვენი ქუჩაც უამრავი სახიფათო თუ უხიფათო ორმოებით თავგზას უბნევდა მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. გასაცოდავებული მანქანების ბრახა-ბრუხიც მუდამ აღიზიანებდათ გზისპირზე მცხოვრებთ. ეზოებში შემოსული მტვერიც არანაკლებ გვაწუხებდა. კენჭნარიდან წამოსულ ქვა-ღორღს ხომ ბოლო აღარ უჩანდა.

ღვთისნიერ და შრომისმოყვარე ადამიანებს რა დალევს. №23 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს (უფროსი რევაზ ყურაშვილი) მუშაკებმა გულთან მიიტანეს მოსახლეობის გულისტკივილი და შეაკეთეს ჩვენი ქუჩა, დაორმოებული ადგილები ამოავსეს და დაასფალტეს.

დიდი მადლობა გზის მშენებლებს.

**თავისუფლების ქუჩის მცხოვრებნი.**

# დავაზღვიოთ სასოფლო - სამეურნეო კულტურები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციამ 1992 წლის 25 მაისის დადგენილებით დაამტკიცა დებულება მოქალაქეთა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის წესის შესახებ. დაზღვევის ხელშეკრულება დაიდება მოქალაქეთა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების დაზიანების, დაღუპვისა და განადგურების შემთხვევისათვის (გვალვა, ხანძარი, მეხის დაცემა, სეტყვა, მოყინვა, ქარიშხალი, მეწყერი, უხვთოვლიანობა, წყალდიდობა და სხვა).

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდება დამზღვევის სურვილისამებრ ჩამოთვლილი მოვლენებიდან ერთ-ერთი ვარიანტით ან ყველასი ერთად. ამასთან დამაზღვეველი ან მისი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი დაზღვეულად ითვლება უბედური შემთხვევისაგან (თითოეული 1000 მანეთში), თუ ეს შემთხვევა მოხდა დაზღვეულ კულტურაზე აგროტექნიკით გათვალისწინებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას.

დებულებით გათვალისწინებულია დაზღვევის გადასახდელების განაკვეთები მარცვლოვან-პარკოსანი, ბოსტნეულ-ბახჩეული და მრავალწლოვანი ნარგავებისათვის, რაც დიდად ხელსაყრელია დამაზღვევლისთვის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისა და მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას განისაზღვრება სახელშეკრულებო ფასებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

დაზღვევის ხელშეკრულებას აფორმებენ დაზღვევის მუშაკები, რომლებიც დასაზღვევი ობიექტის ადგილზე დათვალიერების შედეგად adgenen სადაზღვევო მოწმობას და თანხის გადახდის შემდეგ აბარებენ დამაზღვეველს.

სადაზღვევო მოწმობა ძალაში შედის ფულის გადახდის მეორე დღიდანვე.

დაზღვევის საზღაურს გასცემს სახდაზღვევის ინსპექცია დამაზღვევლის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

ლეჩხუმში იშვიათი როდია გვალვა, მეწყერი, სეტყვა, ქარიშხალი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და აზარალებენ მეურნეობებს.

ისარგებლეთ დაზღვევის მომსახურებით, დააზღვიეთ თქვენს პირად მეურნეობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

**თ. ჩიქოვანი,**
ცაგერის სახდაზღვევის უფროსი ინსპექტორი.

რედაქტორი
**ნ. ნემსაძე.**

## მოგზაურობის მოყვარულთათვის

წყალტუბოს ტურისტული კომპლექსი აწყობს მოგზაურობებს მარშრუტებით: ავიოჯგუფებით—ვილნიუსი (7250 მანეთი), ფინეთი (40 დოლარი და 11100 მანეთი), პოლონეთი (35 დოლარი და 11600 მანეთი), იზრაელი (513 დოლარი და 22000 მანეთი);

ავტობუსებით—ტრაპიზონი-უნიე (თურქეთი)—(2400 მანეთი).

სურვილის მიხედვით შეგვიძლია მოგზაურობა მოვაწყოთ: გერმანიაში, რუმინეთში, ჩინეთში, მონღოლეთში. თითოეულ ჯგუფში შედის 25-38 კაცი. ვაწარმოებთ უცხოური პასპორტებისა და ვიზების გახსნას.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: წყალტუბო, რუსთაველის 39, ტელეფონი 2-33-87. ცაგერში აღნიშნული ორგანიზაციის ფილიალში დარეკეთ ტელეფონზე: 23-21.

**წყალტუბოს ტურკომპლექსის დირექცია.**

## გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
**ფატი მეშველიანს, ბორის კოპალიანს**
**ნინო თუთისანს, კახა მუშკუდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
ზაურ, ლალი ჩაკვეტაძეები, ციცო, ეკა, მაკა, მამუკა ბენდელიანები.

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. ულევი სიხარული, სიყვარული და შვილთა სიმრავლე დაბედებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.
თამთა ბენიძე, ბელა მამარდაშვილი.

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
**ნინო თუთისანს კახა მუშკუდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
სოფიკო, ზურიკო ჩიკვაიძეები.

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
იზო.

**ნუნუ მუშკუდიანს, შიო ომანაძეს**
გილოცავთ ქორწინებას, იბედნიერეთ.
იზო.

**მარიტა ჩაკვეტაძეს, თამაზ ბენდელიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.
ალიოშა თუთისანი ოჯახით.

**მალვინა კოპალიანს, ნუგზარ ბუზავას**
გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ და იხარეთ.
ანზორ ლეთოდიანი, ხვიჩა სვანიძე ოჯახებით.

**ნარგიზა ხეცურიანს, კახა ჩაკვეტაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
გრიშა ახვლედიანი, რევაზ ბენიძე ოჯახებით.

**ნინო თუთისანს, კახა მუშკუდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
ცაგუ, რევაზ ახვლედიანები.

## გილოცავთ

**გოგიტა, მერიკო, თამრიკო გუგავებს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
სოსო კოპალიანი, გია, ოთიკო ქომეთიანები.

**მერიკო, თამრიკო, გოგიტა გუგავებს**
გილოცავთ ინსტიტუტში ჩარიცხვას.
ნათია, ტატო, გიორგი.

**პაშა მიქაუტაძეს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ სასახელო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.
მერი, თინა, ელისო, ნორა ყურაშვილები, მარო, თამარ, დალი გოლეთიანები, თინა, გული ჩიქოვანები, ჟუჟუნა ჩაკვეტაძე.

**ნანა, იზო, გიზო კალანდაძეებს**
გილოცავთ პირველი შვილის, შვილიშვილის, დისშვილის შეძენას. შეგმატებოდეთ მრავალი.
უახლოესი მეზობლები.

**ნინო, ნუგზარ გახსოლიანებს**
**ლელა, დათო გიორგელიძეებს.**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
სოფო, სოსო მუშკუდიანები.

**მაია, გოჩა გვიდიანებს**
**მანანა, გივი ხმელიძეებს**
გილოცავთ პირველ სიხარულს—შვილის და შვილიშვილის შეძენას.
იულია ქომეთიანი, ვალიკო გოლეთიანი, ნუგზარ სალინაძე, ჯემალ ახვლედიანი, მზია ცხვედიანი, რომან ყურაშვილი ოჯახებით.

**ირმა, ავთანდილ ახვლედიანებს**
**მათიკო, ნოდარ ახვლედიანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგზრდოდეთ ერის სასახელო ვაჟკაცი.
მარიკა, მამუკა კოპალიანები.

**ნინო, ნუგზარ, ჟენია, ბიჟიკო გახსოლიანებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის, პატარა სალომეს შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
სამხედრო განყოფილების თანამშრომლები.

**ალზირი, გივი მეგრელებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.
ჯონი მეგრელი, მერაბ გუგავა ოჯახებით.

**გოგუცა, სლეიტონ მეგრელებს**
გილოცავთ მარიკას ბედნიერებას.
ჯონი მეგრელი, მერაბ გუგავა ოჯახებით.

**გენადი ჯემალის ძე კოპალიანს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
ციცო, ოთარ, სოფო, დათო დავითულიანები.

**ნორა, კუჟიკო გუგავებს**
გილოცავთ ნუგზარის ბედნიერებას. მრავალ გოგო-ბიჭს აეხმიანებინოს თქვენი სახლ-კარი.
დალი, ნაირა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახით.

**თალიკო, ჯემალ, ლუიზა, მურთაზ კოპალიანებს**
გილოცავთ თამაზისა და იმედას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას. ღმერთი იყოს მათი მფარველი.
მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

**ხათუნა შოთას ასულ კოპალიანს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
ლუხვანოს საექიმო უბნის, ზედა ლუხვანოსა და ზარაგულის საფერშლო პუნქტების თანამშრომლები.

**ლამარა გერიძეს**
გილოცავთ ნინოს ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებელში.
რაიკოოპერატივის თანამშრომლები.

**რეზო მანდარიას, გოგუცა, სლეიტონ მეგრელებს**
გილოცავთ შვილების მარიკასა და თენგიზის ბედნიერებას. ღმერთმა გაგიმრავლოთ.
რაიკოოპერატივის თანამშრომლები.

**ქეთინო ჩაკვეტაძეს, ბერდია ხმელიძეს**
გილოცავთ დაქორწინებას.
ნორა ჩაკვეტაძე.

**ელისო გოგიძეს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
ნატო, გენადი კოპალიანები, ლილი, ჯემალ დავითულიანები.

**ნანა კალანდაძეს, ემზარ ფუტკარაძეს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.
ხათუნა კანაჩაძე, ამირან მეგრელი.

**ნანა კალანდაძეს, ემზარ ფუტკარაძეს**
გილოცავთ პირველი შვილის, პატარა რუსიკოს შეძენას.
მამუკა გიორგობიანი ოჯახით.

**ლამზირა, შალვა კვირკაშვილებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
ნანული, იაგო ყურაშვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხსოვნა

## მანანა ვლასის ასული კუხალაშვილი

წელს უკვე მეორედ მოვიდა შენი დაბადების დღე — 25 აგვისტო უშენოდ. რა ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან, რა მოურჩენელი იარა დააჩინე შენი პატარების ეკას, მაკასა და ლაშას გულებს, გასაცოდავებული დედ-მამის, უკურნებელი ნაღველით სავსე დედმამიშვილების სიცოცხლეს. 32 გაზაფხული იგაზაფხულე. სიცოცხლეს შეხაროდი, სიყვარულს და სითბოს აფრქვევდი შენს ირგვლივ უშურველად, მიუხედავად ავადმყოფობისა ყველა ხურათიდან ღიმილით გაცისკროვნებული სახით შემოგვცქეროდი, გრძნობდი, ელოდი სიცოცხლის დასასრულს და მაინც გსურდა შენი ხატება ნათელ იმედად სავსე დარჩენილიყო ჩვენთან.

ცხოვრება თავისი გზით მიდის ვშრომობთ, ვარსებობთ, შეეხარით ახლა უკვე მეცხრეკლასელ ლაშას, მეექვსეკლასელებს ეკასა და მაკას, შენი გულის სითბოთი რომ არიან სავსე, დედას დანატრებულნი შენს საფლავს ევლებიან.

იძინე მშვიდად შვილო, სანამ ვიცოცხლებთ შენი ხსოვნაც ჩვენთან იქნება.

გილოცავთ დაბადების დღეს.

მშობლები, დედმამიშვილები.

---

შვილი ეთერი, რძალი ვენერა, შვილიშვილები გელა, გიზო, მათი ოჯახები, მანანა, მარინე, მაყვალა ნემსწვერიძეები, რძლები ნინო, მზია, სიძეები კოსტა ნემსწვერიძე, ჯანიკო ლეთოდიანი, ბადრი კვირკაშვილი, როსტომ შკუბულიანი, ვალერი ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა ამბროსის ასული**

**ბენდელიანი-ომანაძე**

დაკრძალვა 20 აგვისტოს, ხუთშაბათს, სოფ. ზუშში. გამოსვენება სოფ. რცხმელურიდან.

---

მეუღლე შოთა, შვილები მამუკა, გოჩა, რძალი ქეთინო, შვილიშვილი ქეთინო, დედამთილი თამარი, დეიდა ქსენია, მაზლი რეზო, ბიძა ილარიონი, მამიდა ნელინე; მერი, ვაჟა ჯიაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ გიორგის ასული**

**ჩაჩხიანი-სალინაძე**

დაკრძალვა 20 აგვისტოს, ხუთშაბათს, ქალაქ თბილისში, გამოსვენება კრილოვის ქუჩა №10.

---

სასამართლოს, ნოტარიუსის, მმაჩის, სტატისტიკის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რუსიკო ბენდელიანს, დოდო თაგვაძეს სიძის და მამამთილის

**გერონტის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ტუკა, კახა ჩხეტიანები, ბექან ტყილდიანი, ნოდარ ახვლედიანი, ზაქრო სალინაძე, ზაურ ყურაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ მედიკო ახვლედიანის ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა სვანიძე, ვალერი, შოთა, კახა ჩხეტიანები, ზაურ ყურაშვილი, ვალიკო გოლეთიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ თალიკო, რომან ყურაშვილებს ბიძის

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ალიოშა ქლიბაძე, ბონდო ხეცურიანი, დათო დარჩიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ქორა სილაგაძის ოჯახს

**გერონტი სემინარის ძე**

**სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე შურა, შვილები ლეილა, ნანული, ქორა, რძალი დოდო თაგვაძე, სიძეები გურამ კოპალიანი, გივი გიორგობიანი, შვილიშვილები ზურაბი, გურამი, ნინო, ლელა, ნანა, ნათელა, ლალი, ძმები თედორე, ანდრო, დები ლიდა, მარო, რძლები ვარა, შურა, თამარი, მერი, ცოლისდები რუსიკო, თინა, მერი, ქვისლები ჯობო, ალიოშა, ძმისშვილები, დისშვილები, ცოლისდისშვილები, ცოლისძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გერონტი სემინარის ძე**

**სილაგაძე.**

დაკრძალვა 22 აგვისტოს, შაბათს, ქ. ცაგერში.

---

გივი ასათიანი, ბიტუ, ვილგემ მეშველიანები, ქორა, ჯუსტან ახვლედიანები, მურთაზ მურცხვალაძე, დათო მუშკუდიანი, ქორა ბენდელიანი, ზაალ სვანიძე, დათო გიორბელიძე, ალექსი ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა, გურამ კოპალიანებს მამისა და სიმამრის

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნელინე, იური, რობერტ, ავთანდილ გოლეთიანები თანაუგრძნობენ თამარ, რეზო სალინაძეებს რძლის

**ეთერ ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

---

წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა კოპალიანს ბაბუის

**გერონტის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**გენური გრიგოლის ძე**

**ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თინა გოლოძე, რამაზ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობენ ზურაბ ახვლედიანის ოჯახს

**მამუკა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა ნემსწვერიძეს ბებიის

**ნინა ომანაძის**

და ინგა შკუბულიანს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ისმაილი, დოდო, რძლები ციცო ისიანი, ია ძოწენიძე, სიძე ქორა ჩაკვეტაძე, შვილიშვილები თამაზი, გია, გიზო, ავთო, შვილთაშვილები ირაკლი, ციცინო, უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**საშა ანდრიას ასული**

**სვანიძე-მიქაუტაძე**

დაკრძალვა 22 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ტვიშში.

---

ვახტანგ ასათიანი, მიშა ყურაშვილი, რუბენ გოგიძე, მალხაზ ლიპარტელიანი, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ბიძინა პირველი, რეზო სალინაძე, დადაშა, დათო, ჯონი, ზაზა დავითულიანები, დათო ხეცურიანი, იზო კოპალიანი, ჯუმბერ ცვარიანი, გელა მამარდაშვილი თანაუგრძნობენ ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქუჩუკი შკუბულიანი, რუბენ გოგიძე, მიშა ყურაშვილი, მალხაზ ლიპარტელიანი, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ბიძინა პირველი, დადაშა, ზაზა, დათო, ჯონი დავითულიანები, ენგელი აფრიდონიძე, ჯუმბერ ცვარიანი, დათო ხეცურიანი, იზო კოპალიანი, გელა მამარდაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ რეზო სალინაძეს რძლის

**ეთერ ჩაჩხიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ მანანა, ჯანიკო ლეთოდიანებს ბებიის

**ნინა ომანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სიდედრი ოსანა, ცოლისძმები გრიშა, გურამ შკუბულიანები, სიძე ნესტორ კვატაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გენური გრიგოლის ძე**

**ახვლედიანი.**

---

მურმან, ავთო გუგავები, მამუკა სვანიძე, ბორის ჭაბუკიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ანზორ კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გრიშა შკუბულიანის ოჯახს სიძის

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლევან ჩიქოვანი, გელა ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან

**ეთერ ჩაჩხიანი-სალინაძის**

გარდაცვალებას

---

მუხრან ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნანული, გივი გიორგობიანებს მამის და სიმამრის

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა გოგიძე, ზურაბ მდივანი ოჯახებით იუწყებიან

**გოგუცა ალექსის ასული**

**გოგიძე-მურცხვალაძის**

გარდაცვალებას.

---

ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯემალ ახვლედიანს ძმის

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ქორა სილაგაძის ოჯახს

**გერონტი სემინარის ძე**

**სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სარემონტო-სამშენებლო უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა ბენდელიანს მეუღლის

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვანო ლეთოდიანი ოჯახით თანაუგრძნობს ეთერ, კოსტა ნემსწვერიძეებს დედისა და სიდედრის

**ნინა ომანაძის**

გარდაცვალების გამო

---

თემურ, ზაურ, იური, ნონა ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ სილაგაძეების ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დები ციური, გიული, სიძეები გერსო თვარაძე, ბადრი ხუგაევი, დისშვილები თაილი, ტარიელ, ლაშა თვარაძეები, სულხან, სოსო ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გენური გრიგოლის ძე**

**ახვლედიანი.**

---

ნოდარ კვირკაშვილი, ვახტანგ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯემალ, ნათელა, მარინე, ელისო, გოჩა ახვლედიანებს ძმის, მაზლის, ბიძის

**გენური ახვლედიანის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

ვალიკო გოლეთიანი, იული ქომეთიანი, აბესალომ ცხვედიანი, ბიჭიკო მურცხვალაძე, კაპიტო, ბორის ჩიქოვანები, ქორა ხვისტანი, თინა ბობოხიძე, ნუგზარ სალინაძე, დადაში, ტარიელ, ბიჭიკო გუგავები, რომან ყურაშვილი, გივი ხმელიძე, ენველ ქურასპედიანი, გივი ბენიძე, მურთაზ ბერიძე, ქორა ხეცურიანი, ჯემალ მეშველიანი, ციალა დოლბაია ოჯახებით თანაუგრძნობენ ახვლედიანების ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის ვეტერანი

**გერონტი სემინარის ძე**

**სილაგაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ანგელ ფრუიძე, რომან ხვადაგიანი, მზია ცხვედიანი, ბესიკ ჩიკვაიძე თანაუგრძნობენ ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ლუდუკი ხეცურიანი, გივი ბენდელიანი, შოთა კოპალიანი, ქორა, რეზო ლეთოდიანები, გელა, თამაზ სალინაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია, გრიშა შკუბულიანებს სიძის

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მზია, ოთარ სილაგაძეები იუწყებიან

**გერონტი სემინარის ძე**

**სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე შოთა, შვილები მალ[illegible] ლდა, [illegible] რძალი ნანა [illegible] ცაძე, შვილიშვილები [illegible], შოთა, ნინო, თორნიკე, ლულუ, ირმა იუწყებიან

**გოგუცა ალექსის ასულ**

**გოგიძე-მურცხვალაძის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 22 აგვისტოს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.

---

სახანძრო დაცვის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოჯახს

**გენური გრიგოლის ძე**

**ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვანო, ჯანიკო ლეთოდიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ქორა სილაგაძის ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ემზარ, დავით გუგავები ოჯახით თანაუგრძნობენ მედიკო შკუბულიანს მეუღლის

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა, გურამ კოპალიანებს მამისა და სიმამრის

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალოდია გოგიძე, ამირან ჭარხალაშვილი, გოგი ნემსწვერიძე, მურთაზ კოპალიანი, ბადრი ჭოხონელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ახვლედიანების ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტუღული ხაბულიანი, თამაზ ლეთოდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ, შოთა ჩაკვეტაძეები ოჯახით თანაუგრძნობენ შურა ბენდელიანის ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს მედიკო ახვლედიანის ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

რომან ყურაშვილი, იური მამარდაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მიშა უჩაძე, გენადი ბალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ახვლედიანების ოჯახს

**გენური ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები თანაუგრძნობენ ოჯახს

**გოგუცა გოგიძის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ამირან ონიანი, ვანო ლეთოდიანი, მერაბ ჩაკვეტაძე, გენადი სილაგაძე, ჯოკია შკუბულიანი, პავლე მეიფარიანი, გია ხაბულიანი, იური ჩაკვეტაძე, თემურ შკუბულიანი, გრიგოლ სალინაძე, კოლია ჩაკვეტაძე, ანზორ ასათიანი, თალიკო ლეთოდიანი, ოლეგ ქარსელაძე, ნოდარ სილაგაძე, შოთა სანთელაძე, გიორგი შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სილაგაძეების ოჯახს

**გერონტი სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონული სტამბა.